



შუახევის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-148
13/03/2020

148-07-4-202003131652



**კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების დამტკიცების
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები თანდართული დანართის მიხედვით.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 1 აპრილამდე.

ფრიდონ ფუტყარაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები იძლევიან სხვადასხვა რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, მათ შორის სამუშაო გარემოში თანამშრომელთა და ვიზიტორთა მაქსიმალური შემცირების შესახებ. შუახვევის მუნიციპალიტეტი მიიჩნევს რა აუცილებლად აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებას, ამტკიცებს წინამდებარე ღონისძიებებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. სამუშაოს დისტანციური შესრულება/დისტანციური სამუშაო გრაფიკი – სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლად ნებისმიერი ხელმისაწვდომი დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით, როგორებიცაა: ტელეფონი, ინტერნეტი, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემები და სხვა.

2. სადებიზინფექციო სამუშაოები – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასა და სამუშაო ოთახებში ისეთი ადგილების სპეციალური ხსნარით დამუშავება, რომლებზეც ხშირია თანამშრომელთა თუ ვიზიტორთა მხრიდან ხელით კონტაქტი.

მუხლი 2. სამუშაო გრაფიკი

1. სამსახურში არ გამოცხადდეს მერიის ის თანამშრომელი:

ა) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა, იტალიის რესპუბლიკა, ირანის ისლამური რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო) ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნის გავლით – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში.

ბ) რომელიც ბრძანების ძალაში შესვლის დროისთვის ან შემდეგ იმყოფებოდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქვეყანაში და დაბრუნდა სამსახურში – სამსახურში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში.

გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი.

2. სამსახურის უფრსებმა, საჭიროებების გათვალისწინებით, განსაზღვრონ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების გრაფიკი და თანამშრომელთა ნაწილი გადაიყვანონ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. ამ შემთხვევაში სამსახურის უფროსმა უნდა გაითვალისწინოს თანამშრომელთა ხელმისაწვდომობა დისტანციურ საკომუნიკაციო საშუალებებთან.

მუხლი 3. სადებიზინფექციო სამუშაოები.

სადებიზინფექციო სამუშაოებს ახორციელებენ მერიის დამხმარე მოსამსახურეები (დამლაგებელი) დღეში 2-ჯერ: დილას – სამუშაო საათების დაწყებამდე და შესვენების დროს.

მუხლი 4. სხვა ღონისძიებები

1. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები გარდა აუცილებელი საჭიროებებისა.

2. მერიის თანამშრომლებმა მწვავე რესპირატორული დაავადების სიმპტომის არსებობის შემთხვევაში მიმართონ ექიმს, აგრეთვე აცნობონ მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, თუ საჭიროა თვითიზოლაციაზე გადასვლა.

3. ეპიდემიის საფრთხის შემცირებამდე:

ა) შეიზღუდოს მერიისა და მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების მიერ საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

ბ) შეიზღუდოს მერიის კომისიის სხდომები გარდა ჯანდაცვის მიმართულებისა;

გ) შეიზღუდოს მერიაში მოქალაქეთა მიღება.

მუხლი 5. სხვა დებულებანი

1. სამსახურში მყოფი თანამშრომლები ვალდებული არიან აუცილებელი საჭიროების გარეშე არ იქონიონ ერთმანეთთან პირდაპირი კონტაქტი.

2. დისტანციურ სამუშაო გრაფიკზე მყოფი თანამშრომელი ვალდებულია აქტიურ მდგომარეობაში იქონიოს მობილური ტელეფონი და სამუშაო დღეებში ხელმძღვანელი პირების თანხმობის გარეშე არ დატოვოს საცხოვრებელი ადგილი.